



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 33/ს
24/01/2023

33-21-4-202301241629



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში (ჯუმი) შპს „საგზაოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „საგზაოს“ (ს.კ. 419993029) მიერ წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში (ჯუმი) სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯეონეიჩარ კორპორაციის“ მიერ.

სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავებაზე 2022 წლის 7 აპრილს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-275 ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში, შპს „საგზაოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2022 წლის 20 აპრილს შპს „საგზაოს“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სააგენტოში წარმოდგენილი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში, შპს „საგზაოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავების პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სააგენტოს მიერ სკოპინგის პროცედურის შესაბამისად განსაზღვრული იქნა გზშ-ისათვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (სკოპინგის დასკვნა N29/ ბრძანება N136/ს; 14.06.2022).

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ შპს „საგზაოს“ კუთვნილი საწარმოს ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული შესაბამისი საქმიანობის

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე საწარმოს მოწყობის სამუშაოების განხორციელების ფაქტი, რაზეც 2022 წლის 6 ივნისს, საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N071763 ოქმი და მასალები განსახილველად გადაიგზავნა სასამართლოში.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. გზმ-ის ანგარიშში განხილული ორივე ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე. პირველ ალტერნატიულ ვარიანტად განხილულია შპს „ვესტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,6 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი (ს/კ 43.11.42.449), ხოლო მეორე ალტერნატიულ ვარიანტად - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1,4 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი (ს/კ 43.11.41.289). გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მეორე ალტერნატივა უარყოფილ იქნა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ობიექტიდან მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის საჭირო იქნებოდა მჭიდროდ დასახლებულ ზონაში გადაადგილება; საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (230 მ) სიახლოვე; შედარებით ნაკლები ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები; ამასთან, ტერიტორიაზე არ არსებობს ელექტროენერგია და წარმოებისთვის საჭირო კომუნიკაციები/ინფრასტრუქტურა. ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის, მათ შორის გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური საკითხების, ასევე უახლოეს მოსახლემდე დაშორების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატივას. დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოში წარმოებული პროდუქციის საბოლოო გამოყენება დაგეგმილია შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის ქარხანაში, რომელიც მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარეობს, შესაბამისად შერჩეული ალტერნატივის ფარგლებში არ წარმოიქმნება პროდუქციის ტრანსპორტირებისას სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების რისკი. ამასთან, ტერიტორიაზე უკვე არსებობს სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, ადვილად შესაძლებელი შერჩეული ტერიტორიის საჭირო ინფრასტრუქტურით (წყალმომარაგება, ელექტროენერგია) უზრუნველყოფა. ტექნოლოგიური ალტერნატივების სახით გზმ-ის ანგარიშში განხილულია სასარგებლო წიაღისეულის მშრალი და სველი მეთოდით გადამუშავება. გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით შერჩეულ იქნა ნედლეულის სველი მეთოდით გადამუშავების ტექნოლოგია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში (ჯუმი), შპს „ვესტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6092 მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 43.11.42.449), რომლითაც შპს „საგზაო“ სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის საწარმოს ნედლეულით მომარაგების მიზნით. საპროექტო საწარმოს მიმდებარედ მდებარე საწარმოო ობიექტებიდან აღსანიშნავია: შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის საწარმო (80 მ-ში), შპს „მშენებელი 2020“-ის ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო (100 მ-ში) და შპს „ბარა კაპიტალის“ ბეტონის ხსნარის და ბეტონის ნაკეთობების დამამზადებელი საწარმო

(90 მ-ში). უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჯუმი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 115 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი 380 მეტრის მანძილზე მდებარეობს. ცენტრალური საავტომობილო გზიდან ტერიტორიაზე შემოდის ორი საავტომობილო, ასფალტირებული და გრუნტიანი გზა.

როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორიაზე შესრულებულია მოწყობის სამუშაოების ნაწილი, კერძოდ: მომზადებულია ფუნდამენტები და დამაგრებულია ლითონის დგარები დანადგარ-მექანიზმების დამონტაჟებისთვის; დაწყებულია სამსხვრევის და საცერის მონტაჟი დგარებზე; ტერიტორია ნაწილობრივ მომზადებულია ღორღის ფენით; ასევე ტერიტორიაზე შემოტანილია და დასაწყობებულია სხვა საჭირო დანადგარ-მექანიზმები (კონვეიერები და სხვ.).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წელიწადში დაგეგმილია 30 000 მ³ (15 მ³/სთ) სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავება. საწარმო იმუშავებს წელიწადში 250 სამუშაო დღე, დღეში 8 საათის განმავლობაში. დასაქმდება დაახლოებით 2-4 ადამიანი. დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმო იმუშავებს ელექტროენერგიაზე, რისთვისაც საწარმოო ტერიტორია ელექტროფიცირებულია და დამატებითი სამუშაოების განხორციელებას არ საჭიროებს.

საწარმოში განთავსებული იქნება ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი სათანადო კომპლექტაციით, რომლის შემადგენლობაში შევა: პანდუსი; ქვიშა-ხრეშის მიმღები ბუნკერი; ყბებიანი ქვის სამსხვრევი (CMD-109); საცერი; როტორული სამსხვრევი; ქვიშის სარეცხი; ლენტური ტრანსპორტიორი; საოპერატორო; სამსექციანი სალექარი, ტუმბოთი; ნედლეულის და მზა პროდუქციის ღია საწყობები.

საწარმოს ნედლეულით (ქვიშა-ხრეში) მომარაგება გათვალისწინებულია რეგიონში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან, მათ შორის, სოფ. საჯიჯაოში არსებული ლიცენზირებული კარიერიდან, 3-4 ერთეული ავტოთვიტმცლელის საშუალებით. საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანა ძირითადად განხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის გავლით, მხოლოდ დღის საათებში. საწარმოში დასამუშავებელი ნედლეულის რაოდენობიდან გამომდინარე დღეში შესრულდება დაახლოებით 14-16 რეისი. საწარმოში ნედლეულის შემოტანა განხორციელდება 15 ტ ტევადობის მქონე, ძარაგადახურული ავტომანქანებით. აღსანიშნავია, რომ საწარმოში წარმოებული პროდუქცია გამოყენებულ იქნება ნედლეულის სახით მომიჯნავედ მდებარე შპს „ვესტ ჯორჯიას“ საწარმოს მიერ, რაც არ საჭიროებს მნიშვნელოვან სატრანსპორტო ოპერაციებს.

შემოტანილი ნედლეული პანდუსის გავლით პირდაპირ მიეწოდება სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მიმღებ ბუნკერს ან მარაგის შექმნის მიზნით, ნედლეულის გარკვეული ნაწილი ღია საწყობში დასაწყობდება. ღია საწყობში განთავსებული ნედლეული, ფრონტალური დამტვირთველის საშუალებით, ეტაპობრივად გადავა მიმღებ ბუნკერში. ნედლეულის ბუნკერში მიწოდების დროს გათვალისწინებულია მისი დანამვა. დანამული ქვიშა-ხრეში ბუნკერიდან მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს, საიდანაც იყრება ლენტურ ტრანსპორტიორებზე. შედარებით მსხვილი ფრაქცია გადადის როტორულ სამსხვრევეში, ხოლო წვრილი ფრაქცია მიეწოდება ვიბრაციულ საცერს. გაცრის შემდგომ, 0-5 მმ ფრაქციის მქონე მასალა გაირეცხება და განთავსდება ღია სასაწყობე მოედანზე, ხოლო

მსხვილი ფრაქცია, მიეწოდება როტორულ სამსხვრევს მეორადი მსხვრევისთვის. დამსხვრევის შემდგომ, ნედლეული გაირეცხება და დახარისხდება 0-5 მმ, 5-10 მმ და 10-20 მმ ფრაქციებად. საბოლოო პროდუქცია განთავსდება ღია სასაწყობე მოედანზე. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზებულია.

საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგებისთვის გამოყენებული იქნება შპს „ვესტ ჯორჯიას“ არსებული ინფრასტრუქტურა (წყლის რეზერვუარი, რომელიც პერიოდულად ივსება ლიცენზირებული ჰაბურდლის წყლით), ხოლო სასმელი წყლის შემოტანა მოხდება ბუტილირებული სახით. საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა იქნება 40 მ³/წელ. საჭიროების შემთხვევაში, წყლის რეზერვუარში შეგროვილი წყალი ასევე გამოყენებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის წლიური ხარჯი არ აღემატება 40 მ³-ს. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება დაგეგმილია სველი მეთოდით, რისთვისაც წყალდება მოხდება მდ. ჯუმიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატი: X-736645; Y-4706064. საწარმოო მიზნებისთვის წელიწადში გამოყენებული იქნება 24 000 მ³ წყალი. საწარმოში გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის დანერგვა. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გათვალისწინებით, მდ. ჯუმიდან საწარმოო დანიშნულებით ასაღები წყლის რაოდენობა წელიწადში იქნება 12 000 მ³ (48 მ³/დღ). წარმოქმნილი საწარმოო წყალი გაწმენდის მიზნით გადავა სალექარში და დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. ტერიტორიაზე წარმოქმნილ სანიაღვრე წყლები შეგროვდება და გაიწმინდება ასევე სალექარში. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში მოსალოდნელია წელიწადში 12 156 მ³ (69,42 მ³/დღ) საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, რომელიც დაბინძურებული იქნება მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით. აღნიშნული წყლების გაწმენდისათვის დაგეგმილია 43 მ³ საერთო მოცულობის, სამსექციანი ჰორიზონტალური სალექარის მოწყობა. საპროექტო სალექარის პარამეტრებია: სექცია I: სიგრძე - 6,0 მ, სიგანე - 2,0 მ, სიღრმე - 1,5 მ; სექცია II: სიგრძე - 6,0 მ, სიგანე - 2,0 მ, სიღრმე - 1,5 მ; სექცია III: სიგრძე - 3,0 მ, სიგანე - 2,0 მ, სიღრმე - 1,2 მ. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პერიოდულად (კვირაში 1-2 ჯერ) მოხდება სალექარის გასუფთავება, საიდანაც ამოღებული ლამი დროებით დასაწყობდება მის მიმდებარედ. ლამის ნაწრეტი წყალი გადავა სალექარში, ხოლო დაგროვილი ლამი ავტოდამტვირთავის საშუალებით მიეწოდება შპს „ვესტ ჯორჯიას“ საწარმოს და პროდუქციის სახით, სრულად იქნება გამოყენებული ასფალტის წარმოებაში. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების შეკრება მოხდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის საწარმოში მოწყობილ 30 მ³ მოცულობის საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად დაიცლება საასენიზაციო მანქანების საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სალექარის მოწყობის პროცესში ამოღებული გრუნტი (დაახლოებით 50³) დროებით დასაწყობდება ნაკვეთის საზღვრებში და შემდგომ გატანილი იქნება რეგიონში არსებულ სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენები

(დაბინძურებული ჩვრები და სხვ.) დროებით განთავსდება სამშენებლო ტერიტორიაზე მოწყობილ ჰერმეტიკულ და მარკირებულ კონტეინერებში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტაქტორს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ქვიშა-ხრემის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი (მათ შორის სალექარში დაგროვილი ლამი) სრული მოცულობით გამოყენებული იქნება შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის წარმოებაში. შესაბამისად, საწარმოო პროცესში ნარჩენები არ წარმოიქმნება. საყოფაცხოვრებო ნარჩენების (0,5 მ³/წელ) შეგროვება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ მარკირებულ კონტეინერში და მისი გატანა მოხდება, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, უახლოეს ნაგავსაყრელზე.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო ობიექტების მოწყობის სამუშაოების ნაწილი უკვე შესრულებულია, ხოლო დარჩენილი სამუშაოები მოიცავს მცირე პერიოდს (დაახლოებით 1 თვე), რაც მნიშვნელოვანი მოცულობის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული არ იქნება. შესაბამისად, მოწყობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. გზმ-ის ანგარიშის შესაბამის თავებში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა არაორგანული მტვერი. გზმ-ის ანგარიშში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 5 არაორგანიზებული წყარო, მათ შორის: ნედლეულის (ხრემი) საწყობი, სამსხვრევი დანადგარი (ხრემის ბუნკერში ჩაყრა: ყბებიანი სამსხვრევი, როტორული სამსხვრევი და ორი საცერი; ლენტური კონვეიერები), სხვადასხვა ფრაქციის პროდუქციის (ღორღი) საწყობები. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია სასარგებლო წიაღისეულის სველი მეთოდით გადამუშავება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობას. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში ფონის სახით გათვალისწინებულია ახლომდებარე შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის, შპს „ბარა კაპიტალის“ ბეტონის და შპს „მშენებელი 2020“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევი-დამხარისხებელი) საწარმოებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემები, რომელთა გათვალისწინებით მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს საწარმოდან უახლოეს მოსახლესთან (380 მ) მიმართებით და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. უნდა აღინიშნოს, რომ გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მუშაობისას ხმაურის ჯამური დონე, საწარმოს მიმდებარედ არსებულ საწარმოებთან ერთად, კუმულაციური ზემოქმედებით, საპროექტო ტერიტორიაზე შეადგენს დაახლოებით 98 დბა-ს, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე - 50 დბა-ს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ხმაურის წყაროსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის არსებობს ბუნებრივი ბარიერები (ხე-მცენარეები, რელიეფური პირობები, მცირე ჰიფსომეტრიული სხვაობა), რომლებიც სულ მცირე 5-10 დბა-ით ამცირებენ ხმაურის გავრცელებას. ამასთან, გაანგარიშება ჩატარებულია ყველა წყაროს ერთდროული მუშაობის შემთხვევისთვის, რაც იშვიათ შემთხვევაშია მოსალოდნელი, ხოლო სამუშაოები იწარმოება მხოლოდ დღის საათებში. დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო ზონასა და საანგარიშო კოორდინატებს შორის ჩატარებული გაზომვებით (გაზომვის წერტილის მიახლოებითი კოორდინატები: X-736747; Y-4706122) ხმაურის დონე 40-45 დბა-ს ფარგლებში მერყეობს, რაც არ აღემატება დასაშვებ ნორმებს. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. რაც შეეხება მოწყობის ეტაპს, ვინაიდან, დარჩენილი სამუშაოები მოკლევადიანია და არ ითვალისწინებს მაღალი დონის ხმაურის გამომწვევი ოპერაციების ინტენსიურ წარმოებას, მოწყობის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

როგორც აღინიშნა საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის, შპს „მშენებელი 2020“-ის ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი და შპს „ბარა კაპიტალის“ ბეტონის საწარმოები. შესაბამისად მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები, ხმაურის გავრცელება, წყლის რესურსებზე ზემოქმედება, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ აღნიშნული საწარმოების ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში როგორც ზემოთ იყო განხილული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის, ამასთან, საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის ჯამური დონე, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. დაგეგმილი საწარმოს წყალმომარაგება, შპს „მშენებელი 2020“-ის არსებული საწარმოს მსგავსად დაგეგმილია მდ. ჯუმიდან. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ახალ საწარმოში დანერგილი იქნება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, რაც შეამცირებს წყლის გამოყენების საჭიროებას და არ წარმოქმნის საწარმოო ჩამდინარე წყლებს. შპს „საგზაოს“ საწარმოო ობიექტის მიერ მდინარიდან ასაღები ტექნიკური წყლის რაოდენობა იქნება მაქსიმუმ 6 მ³/სთ. შესაბამისად, წყლის რესურსებზე და ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედებას, აღსანიშნავია, რომ დღეისათვის შპს „ვესტ ჯორჯიას“ ასფალტის საწარმოს ნედლეულით მომარაგება ხორციელდება სხვა რეგიონებიდან. როგორც უკვე აღინიშნა, შპს „საგზაოს“ საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული შპს „ვესტ ჯორჯიას“

ასფალტის საწარმოს ნედლეულით მომარაგების მიზნით. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე შემცირდება შპს „ვესტ ჯორჯიას“ ნედლეულით მომარაგება სხვა რეგიონებიდან. თუმცა აღნიშნულ სატრანსპორტო ოპერაციებს რაოდენობრივად ჩაანაცვლებს შპს „საგზაოს“ საწარმოს ნედლეულით მომარაგებისთვის გათვალისწინებული რეისების რაოდენობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში, სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედება ფაქტიურად იგივე რჩება, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედების ზრდა არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დღეისათვის საწარმოს ტერიტორია თავისუფალია ნაყოფიერი ფენისგან და ნაწილობრივ მოშანდაკებულია ღორღით. ამასთან, არ იგეგმება ნავთობპროდუქტების ან სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების საცავის მოწყობა, ვინაიდან, მსგავსი ობიექტები წარმოდგენილია მომიჯნავედ არსებული ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც მოასფალტებულია. ამასთან, განხორციელდება ტექნიკისა და ტრანსპორტის მუშაობის პროცესის მეთვალყურეობა და დაუყოვნებლივი რეაგირება დარღვევებზე. შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების ხარისხზე, ასევე გრუნტზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც, დაბალი მნიშვნელობის.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე, ცენტრის ფეისბუქზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 9 დეკემბერს, 11:00 საათზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯუმის საბავშვო ბაღის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „საგზაოს“, გზმ-ის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის - შპს „ჯეონეიჩარ კორპორაციის“ და სოფ. ჯუმის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში (ჯუმი) შპს „საგზაოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საგზაომ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „საგზაომ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებულ „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „საგზაომ“ საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილების GIS კოორდინატების, სიხშირის, შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოთა და სტანდარტის მითითებით). საქმიანობა განხორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „საგზაომ“ ექსპლუატაციის ეტაპზე ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP) უახლოეს მოსახლესთან, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ და შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში განსახილველად 6 თვეში ერთხელ. ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების დამატებითი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, მათ შორის საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვა, და ერთი თვის ვადაში სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. საქმიანობა განხორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული ღონისძიებების შესაბამისად;

7. შპს „საგზაომ“ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, კვარტალში ერთხელ, უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით უახლოეს მოსახლესთან. შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში განსახილველად 6 თვეში ერთხელ. მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებით შემარბილებელი ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება და განხორციელება;
8. შპს „საგზაომ“ მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ექსპლუატაციის ეტაპზე მშრალ ამინდში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის მორწყვა;
9. შპს „საგზაომ“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
10. შპს „საგზაომ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს მუდმივი მონიტორინგი საწარმოო ციკლში ჩართულ ტექნიკურ დანადგარებზე;
11. შპს „საგზაომ“ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს;
12. შპს „საგზაომ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საგზაოს“;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საგზაოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
16. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო